



მოხსენება

საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესრულების მიმდინარეობის შესახებ
მთავრობის ანგარიშზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

შინაარსი

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები	3
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	4
1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები.....	6
2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და არაფინანსური აქტივების კლება.....	7
3. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები.....	12
3.1. საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება	15
3.2. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები.....	16
4. სახელმწიფო და მთავრობის ვალი	19
4.1. საგარეო წყაროებიდან მიღებული კრედიტები	21
4.2. საშინაო წყაროებიდან მობილიზებული საკრედიტო რესურსი	23
4.3. მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები.....	24
დანართი 1. ბიუჯეტის დაგეგმვა და დაზუსტება - მაგალითები.....	27
დანართი 2. დაბალი ათვისების მქონე პროგრამები - მაგალითები.....	28
დანართი 3. კაპიტალური პროექტების ათვისების მდგომარეობა - მაგალითები	34

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლები	მოხსენება მომზადებულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 136-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად.
მოხსენების დოკუმენტური საფუძვლები	მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია: ა) საქართველოს მთავრობის მოხსენება „2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“; ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე სახელმწიფო ხაზინის მიერ მომზადებული ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშები; გ) მხარჯავი დაწესებულებების (სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვ.) მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები; დ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და დასკვნები; ე) სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია.
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებლობა	სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასა და შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა. ანგარიშის საფუძვლად გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი არიან საქართველოს მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა	მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის საქართველოს მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, ასევე ხარჯების კანონიერებას.
ზოგადი შეფასება	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოხსენებაში მოცემული მნიშვნელოვანი საკითხების გარდა, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მთავრობის ანგარიში მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

შემაჯამებელი მიმოხილვა

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით, შემოსულობების მოცულობა 24.6 მლრდ ლარით, ხოლო გადასახდელების - 25 მლრდ ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, დაიგეგმა ბიუჯეტის ნაშთის გამოყენება 461 მლნ ლარის ოდენობით. 8 თვის მდგომარეობით, ფაქტობრივად მობილიზებულმა შემოსულობებმა 16.7 მლრდ ლარი, ხოლო გაწეულმა გადასახდელებმა 16.3 მლრდ ლარი შეადგინა.

2024 წლის 8 თვის მდგომარეობით, საგადასახადო შემოსავლები მობილიზების მაღალი ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, ამ პერიოდში მიღებულია საგადასახადო შემოსავლების წლიური გეგმური მაჩვენებლის 68.4%, მაშინ როდესაც 2022-2023 წლების ანალოგიური მაჩვენებლები, შესაბამისად, 59.8% და 64.1%-ია. წინა წლებთან შედარებით, მობილიზების მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება ყველა საგადასახადო შემოსავალი გარდა აქციზისა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნების პირობებში, წლის ბოლოსთვის მოსალოდნელია საგადასახადო შემოსავლების გეგმურ მაჩვენებელზე გადაჭარბება.

სხვა შემოსავლების კუთხით აღსანიშნავია საპროცენტო შემოსავლები, სადაც რვა თვეში მობილიზებულია 225 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 80.2%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმიდან ჩამორჩენით ხასიათდება არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობები. 8 თვის მონაცემებით, ამ კომპონენტში მობილიზებულია 97 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 49.8%-ია.

რაც შეეხება ბიუჯეტის გადასახდელებს, 8 თვის ათვისების მაჩვენებელი წლიური გეგმის 65.0%-ს (16.3 მლრდ ლარს) შეადგენს. აღსანიშნავია, რომ გასულ წლებთან შედარებით, მიმდინარე წელს გადასახდელების თანაბარზომიერი ათვისების ტენდენცია გაუმჯობესებულია, რაც ძირითადად განაპირობა „ხარჯების“ მუხლის დინამიკამ. თუმცა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის შემთხვევაში გრძელდება გასული წლების ტენდენცია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, როგორც მხარჯავი დაწესებულებების ასევე მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან, ყურადღება მიექცეს გამოყოფილი რესურსის დროულ ათვისებას, რათა არ მოხდეს საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილის წლის ბოლო თვეში დახარჯვა.

საბიუჯეტო ორგანიზაციების კრილში, საყურადღებოა, ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები, რაც გამოიხატება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებსა და დაბალი ათვისების მქონე პროგრამების/ქვეპროგრამების არსებობაში. კერძოდ:

- ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში ადგილი აქვს თანხების მობილიზებას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე;
- გარკვეულ შემთხვევებში ადგილი აქვს პროგრამების/ქვეპროგრამების ან ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების ფარგლებში ჭარბი ოდენობით რესურსის

დაგეგმვას ან/და წლის განმავლობაში აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების გადანაწილებას სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე;

- გარკვეული პროგრამები/ქვეპროგრამები ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება. კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით, 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით 80%-ზე დაბალი ათვისება აქვს 70 პროგრამასა (პროგრამების 45.2%) და 149 ქვეპროგრამას (ქვეპროგრამების 37.9%).

8 თვის მდგომარეობით, კაპიტალური პროექტების ათვისება 2.3 მლრდ ლარს გაუტოლდა, რაც წლიური გეგმის 59% (2023 წელს 52%), ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 91%-ია (2023 წელს 86%). 23 პროექტის შემთხვევაში ათვისებულია როგორც წლიური გეგმის, ასევე 9 თვის დაზუსტებული გეგმის 60%-ზე ნაკლები (2023 წელს - 25 პროექტი). მიუხედავად იმისა, რომ პროგრამების/პროექტების განხორციელების შეფერხებები შესაძლოა გამოწვეული იყოს ობიექტური გარემოებებით, მნიშვნელოვანია, განმახორციელებელი ორგანიზაციების მხრიდან ყურადღება მიექცეს პროექტების მართვის პროცესში პოტენციური შემაფერხებელი ფაქტორების დროულ იდენტიფიცირებას და მათ გათვალისწინებას.

2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის მოცულობა 30.6 მლრდ ლარს შეადგენს, რაც 2023 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელს 1.0 მლრდ ლარით (3.2%-ით) აღემატება. სახელმწიფო ვალის არსებული ნაშთი სახელმწიფო ბიუჯეტის მოქმედი კანონით დადგენილი ზღვრული მაჩვენებლის (33.7 მლრდ ლარი) 99.6%-ს შეადგენს.

მთავრობის ვალის მოცულობა 8 თვის მდგომარეობით 32.5 მლრდ ლარს შეადგენს და 2023 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელთან შედარებით 1.1 მლრდ ლარითაა (3.4%-ით) გაზრდილი. მათ შორის, მთავრობის საშინაო ვალი 773 მლნ ლარით, ხოლო საგარეო ვალი 286 მლნ ლარით გაიზარდა. მთავრობის საგარეო ვალი ახალი კრედიტების აღების შედეგად 251 მლნ ლარით, ხოლო ეროვნული ვალუტის გაუფასურების შედეგად 35 მლნ ლარით გაიზარდა.

საყურადღებოა, რომ მთავრობის ვალის მართვის მოქმედი სტრატეგიით, საგარეო ვალის პორტფელში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტების მოცულობა მინიმუმ 50%-ს უნდა შეადგენდეს. თუმცა 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, აღნიშნული ნიშნული დარღვეულია და ზემოხსენებული კრედიტების წილი მთლიანი პორტფელის 48.4%-ია.

2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, საინვესტიციო პროექტების ფარგლებში განხორციელდა ჯამურად 871.9 მლნ ლარის ათვისება, რაც წლიური გეგმის 62.8%-ია. ათვისების აღნიშნული მაჩვენებელი 6.8 პ.პ.-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები


2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით, შემოსულობები 24.6 მლრდ ლარით, ხოლო გადასახდელები 25 მლრდ ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, დაიგემა ბიუჯეტის ნაშთის გამოყენება 461 მლნ ლარის ოდენობით. 8 თვის მდგომარეობით, ფაქტობრივად მოხილიზებულმა შემოსულობებმა 16.7 მლრდ ლარი (წლიური გეგმის 67.9%), ხოლო გაწეულმა გადასახდელებმა 16.3 მლრდ ლარი (წლიური გეგმის 65.0%) შეადგინა.

ცხრილი 1. 2024 წლის 8 თვის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების მაჩვენებლები (მლნ ლარი).

	2022 წლის 8 თვის ფაქტი	2023 წლის 8 თვის ფაქტი	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 8 თვის ფაქტი	2024 წლის 8 თვის შესრულება (%)
შემოსულობები	12,020	14,639	24,569	16,680	67.9%
გადასახდელები	11,826	13,816	25,030	16,272	65.0%
ნაშთის ცვლილება	194	823	-461	408	


შემოსულობები გადაჭარბებით შესრულდა პირველი ორი კვარტლის განმავლობაში, მაშინ როდესაც გადასახდელები პირველ კვარტალში გეგმიდან ჩამორჩენით ხასიათდებოდა, მეორე კვარტალში კი გადაჭარბებით შესრულდა (იხ. დიაგრამა 1). კერძოდ, პირველ კვარტალში შემოსულობებმა გეგმას 4%-ით (250 მლნ ლარით), მეორე კვარტალში კი 9%-ით (487.9 მლნ ლარით) გადააჭარბა. გადასახდელების შემთხვევაში პირველ კვარტალში გეგმის 2%-იანი (109.5 მლნ ლარი) ჩამორჩენა, ხოლო მეორე კვარტალში 1%-იანი გადაჭარბებით (39.1 მლნ ლარი) შესრულება დაფიქსირდა.

დიაგრამა 1. 2024 წლის 8 თვის მდგომარეობით შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულება კვარტალური განწერით განსაზღვრულ გეგმებთან.




შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების აღნიშნული ტენდენციების პირობებში, რვა თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 408.1 მლნ ლარით გაიზარდა და აგვისტოს ბოლოს 2 მლრდ ლარი შეადგინა.

დიაგრამა 2. შემოსულობების, გადასახდელებისა და ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების დინამიკა ყოველი თვის ბოლოს - 2024 წ. (მლნ ლარი)



დიაგრამა 3. აუქციონის გზით კომერციულ ბანკებში განთავსებული ნაშთის მოცულობა - 2024 წ. (მლნ ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ზრდასთან ერთად ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების ნაშთის დინამიკა 2024 წლის რვა თვეში ძირითადად ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა და იანვარ-აგვისტოს პერიოდში 944 მლნ ლარიდან 2.6 მლრდ ლარამდე გაიზარდა.

გარდა მოკლევადიანი დეპოზიტებისა, მთავრობის განკარგულების საფუძველზე¹ ეკონომიკის გრძელვადიანი საკრედიტო რესურსით უზრუნველყოფის მიზნით, 2020 წლის ივნისსა და ივლისში, კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერთიფიკატებში განთავსდა 594.3 მლნ ლარი, რომლის ვადაც 2028 წლის იანვარში იწურება.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და არაფინანსური აქტივების კლება

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 20.7 მლრდ ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც 2.0 მლრდ ლარით (10.8%-ით) აღემატება 2023 წლის ფაქტობრივ წლიურ მაჩვენებელს - 18.7 მლრდ ლარს.


რვა თვის მდგომარეობით მიღებულმა შემოსავლებმა 14.3 მლრდ ლარი და წლიური გეგმის 69.0% შეადგინა (2023 წლის ანალოგიური მაჩვენებელია 66.7%). მათ შორის, საგადასახადო შემოსავლების სახით მობილიზებულ იქნა 13.1 მლრდ ლარი, რაც წლიური გეგმის 68.4%-ია.

¹ მთავრობის 2020 წლის 22 მაისის N 845 განკარგულება.

ცხრილი 2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 8 თვის შესრულების მაჩვენებლები (მლნ ლარი).

	2023 წლის 8 თვის ფაქტი (1)	2024 წლის წლიური გეგმა (2)	2024 წლის 9 თვის გეგმა (3)	2024 წლის 8 თვის ფაქტი (4)	% (4) / (3)	% (4) / (2)
საგადასახადო შემოსავლები	10,901	19,115	14,128	13,084	92.6%	68.4%
გრანტები	198	266	177	195	110.0%	73.3%
სხვა შემოსავლები	1,068	1,350	1,138	1,023	89.9%	75.8%
შემოსავლები	12,166	20,731	15,443	14,302	92.6%	69.0%

დიაგრამა 4. სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული შემოსავლების სტრუქტურა 8 თვის მდგომარეობით.




ცხრილი 3. სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების 8 თვის ფაქტობრივი მონაცემები (მლნ ლარი).

	2023 წლის 8 თვის ფაქტი (1)	2024 წლის წლიური გეგმა (2)	2024 წლის 9 თვის გეგმა (3)	2024 წლის 8 თვის ფაქტი (4)	% (4) / (3)	% (4) / (2)
საშემოსავლო გადასახადი	3,727	6,345	4,758	4,401	92.5%	69.4%
მოგების გადასახადი	1,395	2,690	2,240	2,179	97.3%	81.0%
დღგ	4,421	7,388	5,384	4,897	90.9%	66.3%
აქციზი	1,405	2,375	1,678	1,604	95.6%	67.5%
იმპორტის გადასახადი	100	150	111	92	83.1%	61.5%
სხვა გადასახადები	-148	167	-43	-89	207.9%	
საგადასახადო შემოსავლები	10,901	19,115	14,128	13,084	92.6%	68.4%

2024 წლის 8 თვის მდგომარეობით, საგადასახადო შემოსავლები მობილიზების მაღალი ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, 8 თვეში მიღებულია საგადასახადო შემოსავლების წლიური


გეგმური მაჩვენებლის 68.4%, მაშინ როდესაც 2022-2023 წლების ანალოგიური მაჩვენებლები, შესაბამისად, 59.8% და 64.1%-ია. წინა წლებთან შედარებით, მობილიზების მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება ყველა საგადასახადო შემოსავალი გარდა აქციზისა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნების პირობებში, წლის ბოლოსთვის მოსალოდნელია საგადასახადო შემოსავლების გეგმურ მაჩვენებელზე გადაჭარბება.

დიაგრამა 5. სახელმწიფო ბიუჯეტში 8 თვეში მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების წილი წლის განმავლობაში ფაქტობრივად მობილიზებულ საგადასახადო შემოსავლებთან (2022-2023 წლებისთვის) და წლიურ გეგმასთან (2024 წლისთვის) მიმართებით.



2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, „ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი გადასახადების“ დაბრუნების ქვეანგარიშზე დაგროვებულმა ნაშთმა 621 მლნ ლარი შეადგინა და 10 მლნ ლარით გაიზარდა წლის დასაწყისში არსებულ ოდენობასთან შედარებით. რვა თვეში ქვეანგარიშზე მიიმართა 1.63 მლრდ ლარი, ხოლო გადასახადის გადამხდელებს დაუბრუნდათ 1.62 მლრდ ლარი.

დიაგრამა 6. დაბრუნების ქვეანგარიშზე გადატანილი, ქვეანგარიშიდან გასული თანხებისა და ყოველი თვის ბოლოს არსებული ნაშთის დინამიკა (მლნ ლარი).




გრანტების სახით მობილიზებული შემოსავლების ფაქტობრივი მაჩვენებელი წლიური გეგმის 73.3%-ს შეადგენს. ამ კომპონენტში საყურადღებოა სსიპ/ა(ა)იპ-ებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული გრანტების² დინამიკა. კერძოდ, 6 თვის მდგომარეობით,³ სსიპ/ა(ა)იპ-ებიდან მობილიზებულმა რესურსმა 69.5 მლნ ლარი და წლიური გეგმის 60.5% შეადგინა. აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნების პირობებში მოსალოდნელია გრანტების ამ კომპონენტის გეგმურ მაჩვენებელზე გადაჭარბება.

რაც შეეხება **სხვა შემოსავლების** შესრულების მდგომარეობას, 2024 წლის 8 თვეში **დივიდენდების** სახით სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზდა 353 მლნ ლარი (წლიური გეგმის 68.5%), საიდანაც 303 მლნ ლარი ეროვნული ბანკის მოგებიდან მიღებული დივიდენდია (წლიური გეგმის 65.1%). 2023 წლის 24 ნოემბერს გაიმართა „სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის“ სხდომა, რომელზეც მიღებული გადაწყვეტილებით შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ დაევალა ბიუჯეტში 50 მლნ ლარის მიმართვა. 2024 წლის 8 თვის მდგომარეობით, აღნიშნული თანხა მთლიანად მობილიზებულია სახელმწიფო ბიუჯეტში.

საპროცენტო შემოსავლის სახით რვა თვეში მობილიზებულია 225 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 80.2%-ია.

დიაგრამა 7. საპროცენტო შემოსავლები წყაროების მიხედვით, 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით (მლნ ლარი).



2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, **ფულადი სახსრების მართვის ოპერაციებიდან მიღებული საპროცენტო** შემოსავლების სახით ბიუჯეტში მობილიზებულია 81.1 მლნ ლარი. ამავე პერიოდის

² სსიპ-ები, რომელთა წლიური შემოსავალი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების გარდა აღემატება 1 მლნ ლარს, საკუთარი შემოსავლის არანაკლებ 10%-ს მიმართავენ სახელმწიფო ბიუჯეტში.

³ სსიპ-ების მიერ მიღებული შემოსავლის არანაკლებ 10%-ის მიმართვა სახელმწიფო ბიუჯეტში ძირითადად ხდება შესაბამისი კვარტლის დასრულებისას (2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტი). შესაბამისად, 2024 წლის 8 თვის მდგომარეობით აღნიშნულ კომპონენტში არაა ასახული მე-3 კვარტალში ამ კომპონენტში მობილიზებული თანხები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ მაჩვენებლის ტენდენციის ანალიზის მიზნებისთვის გამოყენებული იქნა 6 თვის გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლები.

ბოლოს განთავსებული დეპოზიტებიდან წლის ბოლომდე დამატებით მოსალოდნელია 12.6 მლნ ლარის მიღება. აღნიშნული შემოსავლის ოდენობა ძირითადად განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის დინამიკით. იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო შემოსავლების მობილიზება, პოზიტიური ეკონომიკური ტენდენციებიდან გამომდინარე, პროგნოზირებულს მნიშვნელოვნად აჭარბებს, მომდევნო თვეებში მოსალოდნელია სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის შემდგომი ზრდა, რაც არსებითად გაზრდის ფულადი სახსრების მართვის ოპერაციებიდან მისაღებული საპროცენტო შემოსავლების ოდენობას.

საპროცენტო შემოსავლის მეორე მნიშვნელოვანი წყაროა **საგარეო საკრედიტო და საბიუჯეტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხებიდან მიღებული პროცენტი**,⁴ რომელთა ფარგლებშიც 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით მობილიზდა 84.1 მლნ ლარი. აღნიშნულ თანხაში ასახულია სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებულ ორ სახელმწიფო საწარმოზე⁵ საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემულ სესხებზე გადახდილი პროცენტი, 29.5 მლნ ლარის ოდენობით.

მიუხედავად აღნიშნული საწარმოების არაკრედიტუნარიანობისა, 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით მათზე გადასესხებულია 1.3 მლრდ ლარი. ამ საწარმოებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან სისტემატურად მიიმართება თანხები „სუბსიდიების“ ან/და „სხვა ხარჯების“ მუხლებიდან, ფუნქციონირების ხარჯების ან/და აღებული სესხების მომსახურებისა და დაფარვისთვის. კერძოდ, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიაზე“ 2022-2023 წლებში ფუნქციონირების ხარჯების დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიების სახით მიიმართა, შესაბამისად, 20 მლნ და 15 მლნ ლარი; შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე“ ფუნქციონირების ხარჯებისა და საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე აღებული სესხების ძირი თანხისა და მომსახურებისთვის (პროცენტის დასაფარად) იმავე წლებში სუბსიდიების სახით მიიმართა, შესაბამისად, 80 მლნ და 20 მლნ ლარი. თავის მხრივ, აღნიშნული კომპანიების მიერ მიღებული რესურსის მნიშვნელოვანი ნაწილი უკან დაბრუნდა სახელმწიფო ბიუჯეტში ზემოხსენებული სესხების ძირისა და პროცენტის დაფარვის ფორმით, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ აღიარებულ იქნა ფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულ შემოსულობად და საპროცენტო შემოსავლად.

არაკრედიტუნარიან საწარმოებზე გადასესხების პრაქტიკის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით ყურადღება იქნა გამახვილებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის „საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების მართვის“ ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშში,⁶ სადაც გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია. კერძოდ, მიზანშეწონილია, **ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს სესხის გაცემასთან დაკავშირებული რისკების შეფასების მეთოდოლოგია, განახორციელოს რისკების შეფასება და მოცემული შეფასების ანალიზის შედეგად განსაზღვროს**

⁴ აღნიშნული აერთიანებს ორ მუხლს: „სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებზე გაცემული სესხებიდან (კრედიტებიდან) მიღებული პროცენტი (სარგებელი)“ და „ხელისუფლების სხვა დონის ორგანოებზე გაცემული სესხებიდან (კრედიტებიდან) მიღებული პროცენტი (სარგებელი)“.

⁵ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

⁶ [საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების მართვის ეფექტიანობის აუდიტი](#), 2016 წ.

დაფინანსების ფორმა (სესხი, გრანტი, გარანტია და სხვა) და პირობები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დაფინანსებასთან დაკავშირებული ყველა რისკი.

ამასთან, გადახედვას საჭიროებს პრაქტიკა, რომლითაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო საწარმოზე ხარჯის სახით გადაცემული თანხა აღნიშნული საწარმოს მიერ სახელმწიფოდან აღებულ სესხზე პროცენტის გადახდისას გადაკლასიფიცირდება ბიუჯეტის საპროცენტო შემოსავლად.

საპროცენტო შემოსავლებში 59.4 მლნ ლარი მოხილვდა დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტებიდან, რომლის უდიდესი ნაწილი სადეპოზიტო სერთიფიკატებში⁷ განთავსებული თანხებიდან მიღებული პროცენტია.

საყურადღებოა, რომ 8 თვის მდგომარეობით გეგმიდან ჩამორჩენით ხასიათდება არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობები. კერძოდ, ამ კომპონენტში მოხილვებულია 97 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის (200 მლნ ლარი) 49.8%-ია.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2024 წლის 8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მოცულობამ 16.3 მლრდ ლარი და წლიური გეგმის 65.0% შეადგინა. 2022-2023 წლების ანალოგიური მაჩვენებლები, შესაბამისად, 58.6% და 61.9%-ია.

ცხრილი 4. 2024 წლის 8 თვის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების შესრულების მაჩვენებლები (მლნ ლარი).


	2024 წლის წლიური გეგმა (I)	2024 წლის 9 თვის გეგმა (II)	2024 წლის 8 თვის ფაქტი (III)	% (III) / (I)	% (III) / (II)
ხარჯები	19,121	14,507	12,775	67%	88%
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,181	2,713	2,525	60%	93%
ფინანსური აქტივების ზრდა	306	159	165	54%	104%
ვალდებულებების კლება	1,423	1,022	807	57%	79%
გადასახდელები	25,030	18,402	16,272	65%	88%

გასულ წლებთან შედარებით, გადასახდელების ათვისების მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად (8 თვეში), ფისკალური წლის პირველ კვარტალში გადასახდელები მცირედი ჩამორჩენით ხასიათდებოდა ბიუჯეტის კვარტალური განწერით განსაზღვრულ გეგმასთან მიმართებით. კერძოდ, პირველ კვარტალში ათვისებულმა თანხამ 109 მლნ ლარი (1.9%) შეადგინა.

⁷ მთავრობის 2020 წლის 22 მაისის N 845 განკარგულების საფუძველზე, 2020 წლის ივნისსა და ივლისში, კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერთიფიკატებში განთავსდა 594.3 მლნ ლარი, რომლის ვადაც 2028 წლის იანვარში იწურება.

- პირველ კვარტალში გადასახდელების გეგმიდან მცირე ჩამორჩენა ძირითადად „ხარჯების“ მუხლის გეგმიდან ჩამორჩენამ განაპირობა 5.6%-ით (267 მლნ ლარით), რაც დაბალანსდა არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის გეგმაზე გადაჭარბებით, შესაბამისად, 22.4%-ითა (157.6 მლნ ლარით) და 177.1%-ით (39.5 მლნ ლარით);
- მეორე კვარტალში ადგილი ჰქონდა გადასახდელების გეგმაზე მცირედ, 0.7%-იან გადაჭარბებას (39.1 მლნ ლარით), რაც „ხარჯების“, „არაფინანსური აქტივების ზრდისა“ და „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლების გეგმების გადაჭარბებით შესრულებამ გამოიწვია, შესაბამისად, 0.8%-ით (38.8 მლნ ლარით), 1.4%-ითა (13.0 მლნ ლარით) და 40.0%-ით (14.7 მლნ ლარი);
- მესამე კვარტალის გადასახდელებიდან ორი თვის მდგომარეობით ათვისებულია 68.5% (4.5 მლრდ ლარი) და გეგმური მაჩვენებლის შესასრულებლად კვარტალის ბოლო თვეში (სექტემბერში) ასათვისებელი თანხა 2.1 მლრდ ლარს შეადგენს.

დიაგრამა 8. გადასახდელების კომპონენტების შესრულების მაჩვენებლები კვარტალურ გეგმებთან მიმართებით - 2024 წლის 8 თვე.⁸




გასულ წლებთან შედარებით, გადასახდელების ათვისების თანაბარზომიერება გაუმჯობესებულია. კერძოდ, 2024 წლის 8 თვის მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების საშუალოთვიური მაჩვენებელი 2.0 მლრდ ლარს შეადგენს და იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული გადასახდელების წლიური გეგმა შესრულდება, წლის ბოლო ოთხ თვეში გადასახდელების საშუალოთვიური მაჩვენებელი 2.2 მლრდ ლარს გაუტოლდება. აღნიშნული მაჩვენებელი

⁸ პირველ კვარტალში, ფინანსური აქტივების გეგმაზე გადაჭარბება ძირითადად გამოწვეულია ეკონომიკის სამინისტროს პროგრამაში - „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება“ (24 14) და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამაში „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია“ (25 04) საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების გეგმურ მაჩვენებლებზე გადაჭარბებით, შესაბამისად, 17.7 მლნ და 19.3 მლნ ლარით. ასევე, პირველ კვარტალში არაფინანსური აქტივების გეგმაზე გადაჭარბება ძირითადად გამოწვეულია ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამაში „საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები“ (25 02) არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმურ მაჩვენებელზე გადაჭარბებით 67 მლნ ლარის ოდენობით.

ფისკალური წლის პირველი რვა თვის გადასახდელების ფაქტობრივ საშუალო მაჩვენებელს 7.6%-ით გადააჭარბებს.⁹

დიაგრამა 9. გადასახდელებისა და მისი კომპონენტების ყოველთვიური დინამიკა - 2022-2024 წწ. (მლნ ლარი).



თანაბარზომიერი ათვისების ტენდენციის გაუმჯობესებას წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი „ხარჯების“ მუხლის დინამიკამ, რომლის წლის ბოლო ოთხ თვეში მოსალოდნელი საშუალოთვიური მაჩვენებელი პირველი რვა თვის საშუალოთვიურ მაჩვენებელს 0.7%-ით ჩამორჩება და მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (2023 წელს გადააჭარბა 13.8%-ით). მეორე მხრივ, გარკვეული გამოწვევა კვლავ შეინიშნება „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის დინამიკაში. კერძოდ, ამ მუხლში წლიური გეგმის შესრულების შემთხვევაში, წლის ბოლო ოთხ თვეში ასათვისებელი

⁹ 2023 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 23.0%-ს, ხოლო 2022 წელს - 32.8%-ს შეადგენდა.

რესურსის საშუალოთვიური მაჩვენებელი, პირველ რეა თვეში დახარჯული რესურსის საშუალოთვიურ მაჩვენებელს 31.8%-ით გადააჭარბებს.¹⁰

3.1. საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული ანალიზით, საბიუჯეტო ორგანიზაციების კრილში ვლინდება ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში არსებული ხარვეზები, რაც გამოიხატება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებისა და დაბალი ათვისების მქონე პროგრამებისა და ქვეპროგრამების არსებობაში.

□ ბიუჯეტის დაგეგმვა და დაზუსტება

საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხშირად ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ასიგნებების გადანაწილება, განსაკუთრებით ქვეპროგრამებისა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების დონეზე. აღნიშნული წარმოშობს ცალკეული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების დეფიციტისა და დასახული მიზნების მიღწევასთან დაკავშირებულ რისკებს (*დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 1-ში*). კერძოდ:

- რიგ შემთხვევებში, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წლის განმავლობაში ადგილი აქვს რესურსების მობილიზებას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზევე გათვალისწინება;
- ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში, ადგილი აქვს პროგრამების/ქვეპროგრამების ან ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების ფარგლებში ჭარბი ოდენობით რესურსის დაგეგმვას ან/და წლის განმავლობაში აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების გადანაწილებას სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე.

□ ბიუჯეტის შესრულება


სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების ათვისების საშუალო მაჩვენებელმა 2024 წლის 8 თვის მდგომარეობით 9 თვის დამტკიცებული გეგმის 87.6%, ხოლო დაზუსტებული გეგმის 78.9% შეადგინა.¹¹ ქვეპროგრამების შემთხვევაში ანალოგიური მაჩვენებლები, შესაბამისად, 80.9%-სა და 77.0%-ს უტოლდება. 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით 80%-ზე დაბალი ათვისებით ხასიათდება 70 პროგრამა

¹⁰ 2023 წლის აღნიშნული მაჩვენებლები 62.6%-ს შეადგენდა.

¹¹ მაჩვენებელი მხარჯავი დაწესებულებების ფარგლებში განსაზღვრული პროგრამების გარდა მოიცავს დონორების მიერ დაფინანსებულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს (56 13). გარდა ამისა, პროგრამების გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებლები არ მოიცავს მიზნობრივ გრანტებს, რადგან მათ არ გააჩნიათ გეგმური მაჩვენებელი და აისახებიან მხოლოდ ფაქტობრივად გაწეულ გადასახდელებში (საკასო ხარჯში).

(პროგრამების 45.2%) და 149 ქვეპროგრამა (ქვეპროგრამების 37.9%) (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 2-ში).

დიაგრამა 10. პროგრამების/ქვეპროგრამების განაწილება 8 თვის ათვისების მაჩვენებლის მიხედვით 9 თვის დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმებთან მიმართებით - 2024 წ.¹²



2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით, კაპიტალური პროექტების დანართში წარმოდგენილი პროექტების ჯამური ღირებულება 3.9 მლრდ ლარით განისაზღვრა. 8 თვის მდგომარეობით, ათვისებულია 2.3 მლრდ ლარი, რაც წლიური გეგმის 59%-ია (2023 წელს 52%), ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 91%-ია (2023 წელს 86%). ინდივიდუალურ დონეზე, 23 პროექტის შემთხვევაში, ათვისებულია როგორც წლიური გეგმის, ასევე 9 თვის დაზუსტებული გეგმის 60%-ზე ნაკლები (2023 წელს - 25 პროექტი). შესაბამისი განმახორციელებელი უწყებების განმარტებით, აღნიშნული შეფერხებები, მათ შორის, გამოწვეულია კონტრაქტორი ორგანიზაციების მხრიდან პროექტების შესრულების პროცესის შეფერხება/გაჭიანურებით, ნებართვების მიღების გაჭიანურებით ან/და წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შეუსაბამობით ტექნიკურ მოთხოვნებთან; ასევე, გამოცხადებული ტენდერების უარყოფითი შედეგებით დასრულებით (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართ 3-ში).

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამების/პროექტების განხორციელების შეფერხებები შესაძლოა გამოწვეული იყოს ობიექტური გარემოებებით, მნიშვნელოვანია, განმახორციელებელი ორგანიზაციების მხრიდან ყურადღება მიექცეს პროექტების მართვის პროცესში პოტენციური შემაფერხებელი ფაქტორების დროულ იდენტიფიცირებას და მათ გათვალისწინებას.

3.2. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები


2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების გეგმური მაჩვენებელი 4.8 მლრდ ლარს გაუტოლდა, რაც 21%-ით (828 მლნ ლარით) მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. აღნიშნული ზრდა ძირითადად განპირობებულია საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და

¹² პროგრამების საერთო სტატისტიკაში არაა ასახული ის პროგრამები, რომელთაც 9 თვის მდგომარეობით არ გააჩნდა არც დამტკიცებული და არც დაზუსტებული გეგმა.

დაფარვის გეგმური მაჩვენებლების ზრდით, შესაბამისად, 529 მლნ ლარითა და 115 მლნ ლარით, ასევე, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის გეგმის ზრდით, 80 მლნ ლარის ოდენობით. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების სამი ყველაზე მსხვილი კომპონენტია (მთლიანი მოცულობის 74%-ს) „საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა“ (56 01), „საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა“ (56 02) და „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი“ (56 07).

2024 წლის 8 თვის მდგომარეობით ათვისებულია საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების 73% (3.5 მლრდ), რაც 854 მლნ ლარით მეტია 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

დიაგრამა 11. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ზოგიერთი კომპონენტის შესრულება 8 თვის მდგომარეობით წლიურ გეგმასთან მიმართებით - 2024 წ.



რაც შეეხება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ზოგიერთ კომპონენტს:

- **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის** 8 თვეში გადარიცხულია 405 მლნ ლარი, რაც 9 თვის გეგმის 83%-ს¹³ (2023 წელს - 71%; 2022 წელს - 60%; 2021 წელს - 109%), ხოლო წლიური გეგმის 70%-ს შეადგენს (2023 წელს - 47%; 2022 წელს - 38%; 2021 წელს - 47%). აღსანიშნავია, რომ შემცირების ტენდენციით ხასიათდება ბოლო ოთხ თვეში ასათვისებელი რესურსის მოცულობა. კერძოდ, 2021-2023 წლებში აღნიშნული თანხა საშუალოდ 251 მლნ ლარს შეადგენდა,¹⁴ ხოლო 2024 წლისთვის 175 მლნ ლარია;

¹³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 18 სექტემბრის N 305 ბრძანება „საქართველოს 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 29 დეკემბრის N 518 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

წყარო: ფინანსთა სამინისტრო.

¹⁴ 2021 წელს - 219 მლნ ლარი; 2022 წელს - 268 მლნ ლარი; 2023 წელს - 266 მლნ ლარი.

- **მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის** ათვისების პროცენტული მაჩვენებელი შემცირებულია გასულ წელთან შედარებით. კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით გადარიცხულია 6 მლნ ლარი (2023 წელს - 7 მლნ ლარი, 2022 წელს - 5 მლნ ლარი; 2021 წელს - 5 მლნ ლარი), რაც 9 თვის გეგმის 47% (2023 წელს - 54%; 2022 წელს - 50%; 2021 წელს - 71%), ხოლო წლიური გეგმის 31%-ია (2023 წელს - 35%; 2022 წელს - 25%; 2021 წელს - 33%);
 - **მთავრობის სარეზერვო ფონდიდან** გამოყოფილი თანხა 46 მლნ ლარია, საიდანაც გაწეული საკასო ხარჯი 32 მლნ ლარს უტოლდება (გეგმის 36%). საკასო ხარჯის ყველაზე დიდი ნაწილი (88%) კულტურული, სპორტული, საერთაშორისო, ტურიზმის ხელშეწყობისა და სხვა მსგავსი ხარჯების დაფინანსებაზე მიიმართა, ყველაზე მცირე კი (3%) იურიდიული, ფინანსური, საკონსულტაციო და სარეკლამო მომსახურებისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევის დაფინანსებას მოხმარდა. საკანონმდებლო დონეზე სარეზერვო ფონდების განმარტების ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე,¹⁵ გასული წლების მსგავსად, 2024 წლის 8 თვის მდგომარეობითაც ადგილი ჰქონდა თანხების მიმართვას ისეთი გადასახდელების დასაფინანსებლად, რომლებიც სისტემატურ ხასიათს ატარებენ და სათანადოდ დაგეგმვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მათი გათვალისწინება შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებებში ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე.¹⁶ აღნიშნული ტიპის ღონისძიებებზე მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 2024 წლის 8 თვის მდგომარეობით გაწეული ხარჯების ჯამურმა ოდენობამ 23 მლნ ლარი შეადგინა (მთლიანი ფაქტობრივი ხარჯის 72%).
- აღსანიშნავია, რომ სარეზერვო ფონდიდან თანხების მხოლოდ ისეთ აქტივობებზე მიმართვის შესაძლებლობაზე, რომელთა განჭვრეტაც შეუძლებელი იქნებოდა ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე, და ამის უზრუნველსაყოფად შესაბამისი კრიტერიუმების საჭიროებაზე, ყურადღება იქნა გამახვილებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების 2024 წლის ანგარიშშიც;¹⁷
- **მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამის** გეგმა 20 მლნ ლარით განისაზღვრა. 8 თვის მდგომარეობით პროგრამის ათვისების მაჩვენებელი 35%-ია (7 მლნ ლარი);
 - **ღონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების** გეგმური მაჩვენებელი 112 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც 41 მლნ ლარით მეტია 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 8 თვის მდგომარეობით ათვისებულ

¹⁵ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, „საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დასაფინანსებლად“ (მუხლი 28, პუნქტი 2).

¹⁶ მაგალითად, 12 მლნ ლარი „2023 და 2024 წლების 2 - 5 მაისის აზიის განვითარების ბანკის (ADB) 56-ე (სამხრეთ კორეაში, ქალაქ ინჩეონში) და 57-ე (საქართველო, ქალაქი თბილისი) ყოველწლიური შეხვედრის მაღალ დონეზე ჩატარებისა და მათთან დაკავშირებული ღონისძიებების“ შეუფერხებელი განხორციელების მიზნით იქნა დახარჯული. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ღონისძიების დაფინანსებისათვის 2023 წელს 0.9 მლნ ლარი იქნა დახარჯული. ამასთან, 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების დაფინანსებით მიზნით ათვისებული იქნა 6 მლნ ლარი, 2023 წელს კი 4.5 მლნ ლარი.


¹⁷ GEORGIA, Fiscal Transparency Evaluation, თებერვალი, 2024, გვ. 51

იქნა 31% (2023 წელს - 6%). აღსანიშნავია, რომ მოცემული პროგრამის დაბალი ათვისება მისი შემადგენელი ზოგიერთი კომპონენტის,¹⁸ კერძოდ კი ინფრასტრუქტურული პროექტების დაბალ ათვისებას უკავშირდება.

4. სახელმწიფო და მთავრობის ვალი

2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით სახელმწიფო ვალის მოცულობამ 33.5 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელს 1.0 მლრდ ლარით (3.2%-ით) აღემატება. სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობა 236 მლნ ლარით გაიზარდა და 24.2 მლრდ ლარი შეადგინა (მთლიანი სახელმწიფო ვალის 72.2%), ხოლო საშინაო ვალი 810 მლნ ლარით გაიზარდა და 9.3 მლრდ ლარს გაუტოლდა (მთლიანი ვალის 27.8%). სახელმწიფო საგარეო ვალის ზრდაზე გავლენა იქონია ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ და ვალის წმინდა ზრდამ.¹⁹ აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის არსებული ნაშთი სახელმწიფო ბიუჯეტის მოქმედი კანონით დადგენილი ზღვრული მაჩვენებლის (33.7 მლრდ ლარი) 99.6%-ს შეადგენს.

დიაგრამა 12. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული სახელმწიფო ვალის ზღვრული და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლრდ ლარი).




¹⁸ დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების (56 13) ზოგიერთი კომპონენტი და მათი ათვისება 2024 წლის 8 თვის მდგომარეობით: აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, საქართველო (EU, KfW) (56 13 03) - ათვისება 24%; საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (56 13 04) - ათვისება 13%; მდგრადი ურბანული მობილობა (KfW) (56 13 05) - ათვისება 6%; საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დახმარებისა და აღდგენის პროექტი (საქართველოს ეროვნული ბანკის კომპონენტი) (WB) (56 13 06) - ათვისება 0%; ბიომრავალფეროვნება და მდგრადი ადგილობრივი განვითარება საქართველოში (აჭარის სატყეო სააგენტოს კომპონენტი) (KfW) (56 13 07) - ათვისება 5%; ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა (ფაზა V) (KfW) (56 13 08) - ათვისება 17%; თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი (EBRD) (56 13 09) - ათვისება 0%; თბილისის ავტობუსების პროექტი (ფაზა II) (EBRD) (56 13 10) - ათვისება 3%.


¹⁹ ეროვნული ვალუტის გაუფასურების შედეგად სახელმწიფოს საგარეო ვალი 39.8 მლნ ლარით გაიზარდა, ხოლო ვალის წმინდა ზრდამ 196.6 მლნ ლარი შეადგინა.

რაც შეეხება მთავრობის ვალს,²⁰ 31 აგვისტოს მდგომარეობით მისი მოცულობა 32.5 მლრდ ლარს შეადგენს და 2023 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელთან შედარებით 1.1 მლრდ ლარითაა (3.4%-ით) გაზრდილი. მათ შორის, მთავრობის საშინაო ვალი 773 მლნ ლარით, ხოლო საგარეო ვალი 286 მლნ ლარით გაიზარდა. მთავრობის საგარეო ვალი ახალი კრედიტების აღების შედეგად 251 მლნ ლარით, ხოლო ეროვნული ვალუტის გაუფასურების შედეგად 35 მლნ ლარით გაიზარდა.

დიაგრამა 13. მთავრობის საგარეო ვალის მოცულობის ცვლილებაში ლარის გაცვლითი კურსისა და ახალი სესხების აღების ეფექტი ვალუტების მიხედვით - 2024 წლის 8 თვე (მლნ ლარი).



დიაგრამა 14. მთავრობის საგარეო ვალის მოცულობის ცვლილებაში ლარის გაცვლითი კურსისა და ახალი სესხების აღების ეფექტების დინამიკა (მლნ ლარი).



ცხრილი 5. მთავრობის ვალის სტრუქტურა 31.08.2024-ის მდგომარეობით (მლნ ლარი).

	ვალის ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	ვალის ნაშთის ზღვრული ნიშნული 31.12.2024-ისთვის	ვალის ნაშთი 31.08.2024-ის მდგომარეობით	ვალი/მშპ 21
მთავრობის საგარეო ვალი	22,876	22,764	23,162	25.8%
მრავალმხრივი კრედიტორები	17,194	17,181	17,513	
ორმხრივი კრედიტორები	4,337	4,227	4,303	
ევრო-ობლიგაციები	1,345	1,356	1,346	
მთავრობის საშინაო ვალი	8,606	9,950	9,379	10.5%

²⁰ „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზნებისთვის, მთავრობის ვალი მოიცავს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო ვალს, IMF-ის მიმართ ეროვნული ბანკის ვალის გამოკლებით და დამატებით მოიცავს მუნიციპალიტეტების, სსიპ-ებისა და სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სესხების სახით არსებულ ვალდებულებებს.


²¹ მშპ-ს შემთხვევაში აღებულია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართული BDD დოკუმენტით განსაზღვრული 2024 წლის ნომინალური მშპ-ს პროგნოზი.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები	8,292	9,735	9,124	
სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	233	193	211	
საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ვალი	82	22	45	
მთავრობის ვალი	31,482	32,714	32,541	36.3%


4.1. საგარეო წყაროებიდან მიღებული კრედიტები

2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, მთავრობის საგარეო ვალის პორტფელი 5 სხვადასხვა ვალუტაში დენომინირებული სესხებისგან შედგება. აქედან ძირითადი ნაწილი ევროში (63%), დოლარსა (22%) და SDR-ში²² (13%) დენომინირებული სესხებია. 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით, მთავრობის საგარეო ვალის ნაშთში ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხების წილი 1.5 პ.პ-ით გაიზარდა და 51.6% შეადგინა.

დიაგრამა 15. მთავრობის საგარეო ვალის სტრუქტურის დინამიკა სავალუტო კრილში.



დიაგრამა 16. მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი საპროცენტო განაკვეთის სახეების მიხედვით.



საყურადღებოა, რომ მთავრობის ვალის მართვის მოქმედი სტრატეგიით, საგარეო ვალის პორტფელში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტების მოცულობა მინიმუმ 50%-ს უნდა შეადგენდეს. თუმცამ 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, აღნიშნული ნიშნული დარღვეულია და ზემოხსენებული კრედიტების წილი მთლიანი პორტფელის 48.4%-ია.

²² SDR - წარმოადგენს საერთაშორისო სარეზერვო აქტივს, რომლის ღირებულებაც ემყარება 5 ვალუტას: აშშ დოლარს, ევროს, ჩინურ იუანს, იაპონურ იენს და დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგს.


აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე არაერთხელ იქნა გამახვილებული ყურადღება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა ანგარიშებში.

2024 წლის 8 თვეში, საგარეო წყაროებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზდა 1.2 მლრდ ლარის ოდენობით საკრედიტო რესურსი, რაც წლიური გეგმის 64.6%-ია. მიღებული კრედიტების 72.4% (861 მლნ ლარი) საინვესტიციოა, ხოლო 27.6% (327 მლნ ლარი) - ბიუჯეტის მხარდამჭერი. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის მხარდამჭერ კრედიტებს, საინვესტიციო კრედიტებისგან განსხვავებით, წინასწარ განსაზღვრული მიზნობრიობა ძირითად შემთხვევაში არ გააჩნია და ბიუჯეტის მიმდინარე საჭიროებების დაფინანსებას ემსახურება.

ცხრილი 6. 2024 წლის 8 თვის მდგომარეობით საგარეო კრედიტების სახით მიღებული შემოსულობები (მლნ ლარი).

	2024 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული წლიური გეგმა (1)	2024 წლის 8 თვის ფაქტი (2)	შესრულება (%) (2)/(1)
საგარეო კრედიტები	1,838	1,188	64.6%
საინვესტიციო	1,388	861	62.0%
ბიუჯეტის მხარდამჭერი	450	327	72.8%

დიაგრამა 17. საინვესტიციო პროექტებზე გამოყოფილი დაფინანსების ათვისების ტენდენცია (მლნ ლარი).



2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით, 1.4 მლრდ ლარის მოცულობის საინვესტიციო კრედიტით დაიგეგმა 48 საინვესტიციო პროექტის დაფინანსება. 8 თვის მდგომარეობით, აღნიშნულ პროექტებზე დაიხარჯა 846.6 მლნ ლარი. გარდა გეგმით გათვალისწინებული პროექტებისა, ნულოვანი გეგმის მქონე 6 საინვესტიციო პროექტის ფარგლებში²³ დაიხარჯა 25.2


²³ ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (Kuwait Fund) (25 02 02 10); მდგრადი წყალმომარაგებისა და სანიტარული სექტორის განვითარების პროგრამა (ADB) (25 04 07); 500 კვ ეგზ-ის „ქსანი-სტეფანწმინდა“ მშენებლობა (EBRD, EU, KfW) (24 14 04 01); შიდასახელმწიფოებრივი გზების

მლნ ლარი. შესაბამისად, 31 აგვისტოს მდგომარეობით, საინვესტიციო პროექტებზე ჯამურად მიიმართა 871.9 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 62.8%-ია.²⁴ ათვისების აღნიშნული მაჩვენებელი 6.8 კ.პ.-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

4.2. საშინაო წყაროებიდან მობილიზებული საკრედიტო რესურსი

2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, მთავრობის საშინაო ვალში წინა წლების მსგავსად უმსხვილეს კომპონენტს ემიტირებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები წარმოადგენს. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთში უდიდესი წილი (34.1%) 3-5 წლამდე ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციებს უკავია.

დიაგრამა 18. სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელი ნარჩენი ვადიანობის მიხედვით პერიოდის ბოლოს (მლნ ლარი).



2024 წლის 8 თვეში, სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონის მეშვეობით განხორციელდა 2.45 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებებისა და ობლიგაციების ემისია.

აქტივების მართვის პროექტი (WB) (25 02 02 09); შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხარაგაულის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (ADB) (25 02 02 11); ბაკურიანის მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესების პროგრამა (EBRD) (25 03 06).

²⁴ 2024 წლის 8 თვის მდგომარეობით, საინვესტიციო პროექტების ფარგლებში უცხოელი კრედიტორების მიერ ჩამორიგებული თანხა 706 მლნ ლარს შეადგენს. შესაბამისად, საინვესტიციო პროექტების ნაწილი დაფინანსდა წინა წლის ნაშთით.

ცხრილი 7. სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების ემისია - 2024 წლის 8 თვე (მლნ ლარი).²⁵

	ემისიის მოცულობა ნომინალური ღირებულებით	დისკონტი	პრემიუმი	ფაქტობრივი შემოსულობა სახელმწიფო ბიუჯეტში (ძირი თანხა)
6-თვიანი სახაზინო ვალდებულებები	210	8		202
12-თვიანი სახაზინო ვალდებულებები	160	12		148
5-წლიანი სახაზინო ობლიგაციები	970	6	21	985
7-წლიანი სახაზინო ობლიგაციები	631	8	5	629
10-წლიანი სახაზინო ობლიგაციები	239		13	252
11-წლიანი სახაზინო ობლიგაციები	240	9		231
სულ ემისია	2,450	43	39	2,446

4.3. მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები

2024 წლის 8 თვის მდგომარეობით, მთავრობის ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე მიიმართა 3.4 მლრდ ლარი (მათ შორის საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯი 47.3 მლნ ლარი), რაც წლიური გეგმის 66.4%-ია.


ცხრილი 8. მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები²⁶ (მლნ ლარი).

	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ბიუჯეტის კანონი (1)	2024 წლის 8 თვის ფაქტი (2)	შესრულება % (2)/(1)
მთავრობის საგარეო ვალის მომსახურება და დაფარვა	1,565	2,125	1,252	58.9%
ძირი	1,049	1,375	777	56.5%
პროცენტი	517	750	475	63.4%
მთავრობის საშინაო ვალის მომსახურება და დაფარვა	2,274	3,063	2,192	72.1%
ძირი	1,603	2,250	1,539	68.4%
პროცენტი	670	790	653	82.4%
სულ მთავრობის ვალის მომსახურება და დაფარვა	3,839	5,165	3,444	66.7%

²⁵ სხვაობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჯამურ მაჩვენებელსა და მისი შემადგენელი კომპონენტების ჯამს შორის გამოწვეულია მათემატიკური დამრგვალებით.


²⁶ 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში მოცემული მაჩვენებლები წარმოდგენილია საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალის მომსახურებისა და დაფარვის მაჩვენებლების გარეშე. ფაქტობრივი მაჩვენებლები მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მათი ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯებს.

დიაგრამა 19. მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯების დინამიკა (მლნ ლარი)




2024 წელს მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვისათვის გაწეული ხარჯების უდიდესი ნაწილი (72.1%) საშინაო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯებზე მოდის. კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით, საშინაო ვალის ძირი თანხის დაფარვის მაჩვენებელმა 1.5 მლრდ ლარი, ხოლო საპროცენტო ხარჯმა 653 მლნ ლარი შეადგინა.

დიაგრამა 20. ცენტრალური ბანკების მონეტარული საპროცენტო განაკვეთების დინამიკა.²⁷



დიაგრამა 21. საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მთავრობის საგარეო ვალზე (%).²⁸



²⁷ წყარო : [Bank for International Settlements \(BIS\)](https://www.bis.org/)

²⁸ აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ჩათვლით ვალის პორტფელში შედიოდა 2011 წელს გამოშვებული ევროობლიგაციები, რომლის კუპონის განაკვეთი 6.875%-ს შეადგენდა. 2021 წლის აპრილში აღნიშნული ევროობლიგაციების რეფინანსირება განხორციელდა ახალი, 2.75% კუპონის მქონე ევროობლიგაციებით. შედეგად, გლობალური საპროცენტო განაკვეთების უცვლელობის პირობებში მომდევნო წლებში უნდა შემცირებულიყო ვალის პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი.

საყურადღებოა, რომ 2022 წლის დასაწყისიდან გლობალური მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების პირობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მთავრობის საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი და 2024 წლის 8 თვის მდგომარეობით 3.39%-ს შეადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ საგარეო ვალის პორტფელის 51.6% ცვლად საპროცენტო განაკვეთშია, გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნადაა გაზრდილი საგარეო ვალის საპროცენტო ხარჯები.

მეორე მხრივ, საშინაო წყაროებიდან მობილიზებული რესურსი საგარეოსთან შედარებით მაღალი საპროცენტო ხარჯებით ხასიათდება. შედეგად, მთავრობის ვალის პორტფელში საშინაო ვალის წილის ზრდა მნიშვნელოვნად ზრდის საშინაო ვალდებულებებზე გადახდილი საპროცენტო ხარჯის მოცულობას.

ზემოაღნიშნული ორი მოვლენის ერთდროული ზემოქმედება (გლობალური მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება და საშინაო ვალის წილის ზრდა) მნიშვნელოვან ფისკალურ წნეხს ქმნის სახელმწიფო ბიუჯეტისთვის (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება „2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე“).

დანართი 1. ბიუჯეტის დაგეგმვა და დაზუსტება - მაგალითები

1. წლის განმავლობაში, ასიგნებებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ადგილი აქვს თანხების მიმართვას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება. • ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქვეპროგრამას „საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა“ (24 08 02) 2024 წლის გეგმა დაუმტკიცდა 24.7 მლნ ლარის ოდენობით. ქვეპროგრამაზე წლის განმავლობაში დამატებით გადანაწილდა 7.1 მლნ ლარი. სამინისტროს ინფორმაციით, გადანაწილების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზია ვენჩურულ საინვესტიციო ფონდში - „500 GEORGIA, L.P“ მოთხოვნილი შენატანისთვის თანხის მობილიზება, რომლის გათვალისწინებაც ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე არ მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები გათვალისწინებულია მთავრობის განკარგულებით;²⁹ • რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ქვეპროგრამაზე „წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა“ (25 02 02 04) წლის განმავლობაში გადანაწილდა 7.3 მლნ ლარი (ქვეპროგრამის წლიური დამტკიცებული გეგმის 24.3%). სამინისტროს ინფორმაციით, გადანაწილების საჭიროება წარმოიშვა წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოებზე საგარანტიო პერიოდის გასვლის შემდეგ მათი გადახდის საჭიროებამ. აღნიშნული მასშტაბით თანხის გადანაწილების საჭიროება დაგეგმვის ნაკლოვანებაზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ ქვეპროგრამაზე რესურსის გადანაწილებას ადგილი ქონდა გასულ წლებშიც; • თავდაცვის სამინისტროს ქვეპროგრამის „თავდაცვის ძალების ლოჯისტიკური უზრუნველყოფა“ (29 08 01 01) „არაფინანსური აქტივების“ მუხლის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 2 მლნ ლარს. პირველივე კვარტალში საჭირო გახდა აღნიშნულ მუხლში დამატებით 7.5 მლნ ლარის მობილიზება შეიარაღების შესყიდვის და ლოჯისტიკური ხარჯების ანაზღაურების მიზნით. გარდა ამისა, აგვისტოში „არაფინანსური აქტივების“ მუხლი კიდევ გაიზარდა 1.3 მლნ ლარით ტექნიკისა და სამხარეულოს ინვენტარის შეძენის მიზნით; • შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეპროგრამის „სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო“ (30 06 02) ფარგლებში ბიუჯეტი დამტკიცდა საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილი 1.5 მლნ ლარის ოდენობით (სამინისტროს მიერ ჭერს ზემოთ მოთხოვნილი იყო 1.1 მლნ ლარი, ძირითადად „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში). წლის განმავლობაში ქვეპროგრამაზე გადანაწილდა 13.6 მლნ ლარამდე, მათ შორის, 11.9 მლნ ლარი მობილიზდა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში სახანძრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვის დასაფინანსებლად, რაც საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილი არ ყოფილა. ანალოგიურ შემთხვევას ადგილი ჰქონდა 2023 წელსაც.
2. ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში, ადგილი აქვს პროგრამების/ქვეპროგრამების ან ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების ფარგლებში ჭარბი ოდენობით რესურსის დაგეგმვას ან/და წლის განმავლობაში აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების გადანაწილებას სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე. • შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეპროგრამიდან „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი“ (31 01 01) 8 თვის განმავლობაში 57.6 მლნ ლარი გადანაწილდა სამინისტროს

²⁹ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის №2420 განკარგულება „სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს 500 GEORGIA, L.P. ვენჩურულ საინვესტიციო ფონდში მონაწილეობასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარების თაობაზე“.

სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე. წინა წლების მსგავსად, აღნიშნული ქვეპროგრამიდან თანხების გადანაწილებას სისტემატური ხასიათი გააჩნია, რაც ჭარბი ოდენობით რესურსის დაგეგმვაზე მიუთითებს;

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქვეპროგრამიდან „ქვეყნის ბრენდის განვითარების ღონისძიებები“ (24 01 02) წლის განმავლობაში სხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე გადანაწილდა 129 ათასი ლარი. თანხის არაარსებითი ხასიათის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეპროგრამიდან წინა წლებშიც ფიქსირდება თანხების გადანაწილება სხვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, რაც დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

დანართი 2. დაბალი ათვისების მქონე პროგრამები - მაგალითები

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ წლიურ და ცხრა თვის გეგმასთან მიმართებით დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის მაჩვენებლები - 2024 წ. (მლნ ლარი; %).³⁰

პროგრამის დასახლება	ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული წლიური გეგმა (I)	9 თვის დამტკიცებული გეგმა (II)	8 თვის ფაქტი (III)	(III)/(II) %	(III)/(I) %
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო					
შემოსავლების მოზილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (23 02)	25.0	14.0	6.1	43.3%	24.3%
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო					
ქვეყნის ბრენდის განვითარების ღონისძიებები (24 01 02)	0.5	0.5	0.0	9.1%	9.1%
ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საფოსტო კავშირის განვითარება (24 01 03)	0.5	0.3	0.0	6.8%	3.4%
მარკეტინგული და იურიდიული კონსულტაციების ხარჯი (24 01 04)	3.4	2.6	0.2	7.4%	5.5%
შრომის ბაზრის ანალიზი (24 01 05)	0.5	0.2	0.0	3.5%	1.0%
თბილისის ახალი საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობისათვის საჭირო კვლევების დაფინანსება (24 06 05 02)	20.0	15.0	2.0	13.3%	10.0%
მეწარმეობის პროგრამები (24 07 02 01 01)	200.0	150.5	83.6	55.6%	41.8%
საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დახმარებისა და აღდგენის პროექტი (24 07 02 03 01)	70.0	40.7	22.1	54.4%	31.6%
Log-in Georgia (WB) (24 08 03 01)	38.0	35.4	17.1	48.4%	45.1%
ბოჭკოვანი ქსელი საქართველოს სოფლებისთვის (EIB) (24 08 03 02)	15.0	15.0	5.6	37.3%	37.3%

³⁰ ფაქტობრივი დანახარჯები არ მოიცავს მიზნობრივი გრანტების კომპონენტში გაწეულ დანახარჯებს.

ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება (24 10)	22.0	18.5	8.1	43.8%	36.8%
საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა - სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს კომპონენტი (ADB) (24 12)	5.0	3.4	0.2	5.3%	3.6%
რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი (24 14 01)	120.0	92.7	53.0	57.1%	44.1%
შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი (WB) (24 14 02)	5.0	5.0	-	0.0%	0.0%
მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება (24 15)	3.6	0.7	0.4	52.7%	10.0%
ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარება (24 17)	3.4	2.7	1.4	53.1%	42.2%
სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარება (24 20)	9.1	7.5	3.4	44.9%	36.9%
კურორტების განვითარების ხელშეწყობა (24 21)	5.8	4.3	2.1	47.8%	35.4%
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო					
ენერგოეფექტურობა საჯარო შენობებში (25 07 01 04)	4.0	1.1	0.5	47.2%	13.1%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო					
მიწის რეგისტრაციის ხელშეწყობა და საჯარო რეესტრის მომსახურებათა განვითარება/ხელმისაწვდომობა (26 08)	30.0	28.4	18.2	64.0%	60.6%
საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპონენტი) (WB) (26 09)	4.7	3.7	1.9	51.2%	40.5%
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო					
დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მართვა (27 01 08)	1.7	1.3	0.5	36.0%	27.2%
ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა (27 01 09)	5.7	4.1	1.9	47.0%	34.0%
ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამის მხარდაჭერა (AFD) (27 01 10 02)	3.0	3.0	-	0.0%	0.0%
უსახლკარო/მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა (27 02 02 09)	25.0	15.0	0.1	0.4%	0.2%
დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (27 03 02 01)	2.9	2.5	1.4	56.1%	48.4%

საქართველოში აივ/მიდისა და ტუბერკულოზის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ეროვნული სისტემების გაძლიერება - ტუბერკულოზის კომპონენტი (27 03 02 06 03)	3.0	1.6	0.2	9.9%	5.3%
ჯანმრთელობის ხელშეწყობა (27 03 02 10)	2.0	1.5	0.3	22.4%	16.8%
დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (27 03 04)	0.5	0.4	0.1	18.1%	14.6%
საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მხარდაჭერის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები (27 04 02)	10.8	10.8	2.2	20.0%	20.0%
საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მხარდაჭერა (GUMIP რეპროგრამირება) (EIB) (27 04 03)	36.7	25.6	15.4	60.4%	42.1%
სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება (27 05 03)	5.3	3.9	2.0	52.0%	38.5%
საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის მართვა (27 05 04 01)	6.7	5.2	2.7	52.5%	40.6%
სარეინტეგრაციო დახმარება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის (27 06 01)	1.0	0.7	0.2	22.8%	15.1%
საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამა (27 06 05)	1.4	1.0	0.3	31.7%	23.7%
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო					
მოქალაქეთა ჩართულობა სამხედრო საქმის შესწავლასა და პოპულარიზაციაში (29 02 06)	2.8	2.1	0.0	2.0%	1.5%
კავშირგაბმულობა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება (29 04 02)	8.5	7.6	4.5	58.9%	52.8%
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო					
ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფა (31 01 03)	7.1	3.5	0.9	26.7%	13.1%
მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა (31 02 04)	2.8	2.5	0.9	35.4%	31.9%
რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები (31 03 05 01)	35.0	2.9	0.2	6.1%	0.5%
ქართული ჩაი (31 05 05)	0.5	0.5	-	0.0%	0.0%
იმერეთის აგროზონა (31 05 12)	1.0	1.0	-	0.0%	0.0%
ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა (31 05 13)	1.0	0.7	0.1	12.1%	8.5%
მერძეულობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამის საგრანტო კომპონენტი (DiMMA) (IFAD) (31 05 15 01 02)	5.0	3.0	0.5	16.0%	9.6%
ლიდერპროგრამა (31 05 17)	1.0	0.3	-	0.0%	0.0%

ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება (WB) (31 06 03)	1.8	0.4	0.2	43.9%	9.9%
საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (WB) (31 06 04)	14.0	8.9	2.3	26.1%	16.7%
საქართველოში სარწყავი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (31 06 05)	1.0	0.7	-	0.0%	0.0%
დაცული ტერიტორიების დაცვა და რესურსების მართვა (31 08 02)	1.0	0.7	0.1	14.1%	9.9%
დაცული ტერიტორიების განვითარება (CNF) (31 08 04)	2.7	2.0	1.0	47.6%	35.7%
ტყითსარგებლობის ღონისძიებები (31 09 03)	14.3	10.1	4.0	39.8%	28.1%
რადიოაქტიური და დარიშხანშემცველი ნარჩენების მართვის ღონისძიებები (31 12 02)	2.3	2.2	0.6	24.9%	24.1%
ჰიდრომეტეოროლოგიის მონიტორინგი (31 13 02)	10.0	4.3	2.0	45.2%	19.6%
გეოლოგიური მონიტორინგი (31 13 03)	5.3	1.6	0.3	19.8%	5.9%
გარემოს დაბინძურების მონიტორინგი (31 13 04)	3.5	2.1	0.5	25.0%	14.7%
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო					
ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სახელმძღვანელოების განვითარება (32 02 09)	10.0	7.5	3.1	41.5%	31.1%
მასწავლებლის ეროვნული პრემია (32 02 13)	1.0	1.0	0.1	8.8%	8.8%
პროგრამა „ცოდნის კარი“ (32 04 02 07)	1.0	0.5	0.3	61.1%	31.8%
ვისწავლოთ საქართველოში (32 04 02 08)	5.0	3.2	1.6	51.2%	32.8%
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 02)	25.0	17.6	7.1	40.6%	28.5%
სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 03)	6.0	4.2	1.5	35.0%	24.6%
უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 04)	15.0	10.3	2.3	22.1%	15.3%
საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება (32 07 05)	8.0	6.1	1.7	28.2%	21.4%
ახალგაზრდობის სფეროში ადმინისტრირება და მართვა (32 08 01)	2.0	1.5	0.9	58.9%	44.3%
პროფესიული განათლება I (KfW) (32 10)	22.4	15.2	1.2	7.7%	5.2%

თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის - პროექტი (ADB) (32 11)	15.0	4.8	1.2	26.2%	8.3%
საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო					
კულტურაში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერა - საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო (33 03 01 01)	30.0	18.0	10.3	57.4%	34.4%
სსიპ – საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი (33 04 02 01)	2.1	1.4	0.7	51.7%	34.3%
სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი (33 05 01 13)	8.1	6.1	3.2	51.9%	39.3%
ქვეყნის ტერიტორიაზე საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების სახელმწიფო მხარდაჭერა (33 07 06)	7.0	6.0	3.7	62.0%	53.2%
სხვა პროგრამები					
თბილისის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD) (56 13 02 01)	12.0	7.0	3.2	45.6%	26.6%
საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (56 13 04)	22.0	8.5	2.8	32.7%	12.6%
საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დახმარებისა და აღდგენის პროექტი (ეროვნული ბანკის კომპონენტი) (WB) (56 13 06)	2.0	0.5	-	0.0%	0.0%

გარკვეული პროგრამები/ქვეპროგრამები ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებიან 9 თვის დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით.

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამები „ქართული ჩაი“ (31 05 05) (ათვისება 9 თვის დამტკიცებულ გეგმასთან 0%), „იმერეთის აგროზონა“ (31 05 12) (ათვისება 9 თვის დამტკიცებულ გეგმასთან 0%), „ბიო წარმოების ხელშეწყობის პროგრამა“ (31 05 13) (ათვისება 9 თვის დამტკიცებულ გეგმასთან 12.1%) და „ლიდერპროგრამა“ (31 05 17) (ათვისება 9 თვის დამტკიცებულ გეგმასთან 0%) გასულ წლებშიც დაბალი ათვისებით მაჩვენებლებით ხასიათდებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ პროექტებზე იგივე ოდენობის დაფინანსებაა გათვალისწინებული 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამების „ჰიდრომეტეოროლოგიის მონიტორინგი“ (31 13 02) (ათვისება 9 თვის დამტკიცებულ გეგმასთან 45.2%), „გეოლოგიური მონიტორინგი“ (31 13 03) (ათვისება 9 თვის დამტკიცებულ გეგმასთან 19.8%) და „გარემოს დაბინძურების მონიტორინგი“ (31 13 04) (ათვისება 9 თვის დამტკიცებულ გეგმასთან 25.0%) შემთხვევაში მხედველობაში არ იქნა მიღებული ახალი პროექტების დანერგვასთან დაკავშირებული სირთულეები. შედეგად, ამ ქვეპროგრამებში წლის ბოლომდე ნაკლებად მოსალოდნელია დამტკიცებული ბიუჯეტის სრულად ათვისება;
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა - სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს

კომპონენტი (ADB)“ (24 12) ცხრა თვის გეგმა 3.4 მლნ ლარია (წლიური გეგმა 5.0 მლნ ლარი), საიდანაც რვა თვეში ათვისებულ იქნა მხოლოდ 5.3%. სამინისტროს ინფორმაციით, დაბალი ათვისება გამოწვეულია 2024 წლის აპრილში, მანამდე არსებული შესყიდვების გეგმის ცვლილებით, რამაც გამოიწვია პროექტების ცვლილება. ფისკალური წლის განმავლობაში მსგავსი ტიპის ცვლილება, პროგრამის დაგეგმვის/განხორციელების ნაკლოვანებაზე მიუთითებს.

სამინისტროს ქვეპროგრამის „შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი (WB)“ (24 14 02) ცხრა თვის გეგმა 5.0 მლნ ლარია (წლიური გეგმა ასევე 5.0 მლნ ლარი). რვა თვეში ქვეპროგრამის ფარგლებში თანხის ათვისება არ მომხდარა. სამინისტროს ინფორმაციით, აქტივობების (გეოტექნიკური და გეოფიზიკური კვლევები) დაწყება დაგეგმილია 2025 წელს და არსებულ ეტაპზე არც გადასესხების ხელშეკრულება არსებობს.

ასევე, სამინისტროს ქვეპროგრამის „მეწარმეობის პროგრამები“ (24 07 02 01 01) ცხრა თვის გეგმა 150.5 მლნ ლარია (წლიური გეგმა 200.0 მლნ ლარი), საიდანაც რვა თვეში ათვისებული იქნა 55.6%. სამინისტროს ინფორმაციით, დაბალი ათვისება მნიშვნელოვანწილად განაპირობა ბოლო წლებში დაფიქსირებული მაღალი ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის შემცირების ფონზე, ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების განაკვეთის ეტაპობრივმა შემცირებამ. შედეგად, სააგენტოს მიერ განსახორციელებელ სახელმწიფო პროგრამებში ბენეფიციარებისათვის გამოსაყოფ სახსრებზე (სუბსიდიები) საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან შემცირებულმა მოთხოვნამ წარმოშვა ეკონომიები;³¹

- *ჯანდაცვის სამინისტროს ქვეპროგრამებში „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მართვა“ (27 01 08) (9 თვის გეგმა 1.3 მლნ ლარი; 8 თვეში ათვისება 36.0%) და „ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა“ (27 01 09) (9 თვის გეგმა 4.1 მლნ ლარი; 8 თვეში ათვისება 47.0%)* სამინისტროს მიერ დაბალი ათვისების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად სახელდება მნიშვნელოვანი ოდენობის თავისუფალი შტატების არსებობა. აღნიშნულმა შესაძლოა საფრთხე შეუქმნას შესაბამისი სერვისების დროულ და ეფექტიან მიწოდებას;

სამინისტროს ქვეპროგრამის „საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის მართვა“ (27 05 04 01) ცხრა თვის გეგმა 5.2 მლნ ლარია, საიდანაც 8 თვეში ათვისებულ იქნა 52.5%. სამინისტროს ინფორმაციით, დაბალი ათვისების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ის გარემოება, რომ არ მომხდარა პროგრამაში ჩართულ პირთა ჩანაცვლება, რის გამოც დღის წესრიგში აღარ დადგა არსებულ ბენეფიციარებზე დამატებითი ინვენტარის შესყიდვის/გაცემის საჭიროება. აღნიშნული თავის მხრივ პროგრამის მართვის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს;

- *თავდაცვის სამინისტროს ქვეპროგრამის „მოქალაქეთა ჩართულობა სამხედრო საქმის შესწავლასა და პოპულარიზაციაში“ (29 02 06) ცხრა თვის დამტკიცებული გეგმა 2.1 მლნ ლარია, საიდანაც რვა თვეში ათვისებულ იქნა მხოლოდ 2.0%.* სამინისტროს ინფორმაციით, ქვეპროგრამის განმახორციელებელი სსიპ-ი ჯერ სრულად არ არის დაკომპლექტებული და შესაბამისად, თანხების ათვისება განხორციელდა მხოლოდ ნაწილობრივ. თავის შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხის გათვალისწინება და ასიგნების შესაბამისი ოდენობით დაგეგმვა შესაძლებელი იყო ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე.

³¹ „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N 365 დადგენილება); „სუბსიდირებული იპოთეკური სესხი“ (საქართველოს მთავრობის 2021 წლის 02 აგვისტოს N 388 დადგენილება).

დანართი 3. კაპიტალური პროექტების ათვისების მდგომარეობა - მაგალითები

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით 9 თვის დამტკიცებულ (18.09.2024-ის განწერით განსაზღვრულ) და 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით 8 თვის მდგომარეობით დაბალი ათვისების მქონე კაპიტალური პროექტები - 2024 წ. (ათასი ლარი; %).

დასახელება	2024 წლის დამტკიცებუ ლი გეგმა	9 თვის დაზუსტებ ული გეგმა	8 თვის ფაქტი	ათვისება წლიურ დამტკიცებ ულ გეგმასთან	ათვისება 9 თვის დაზუსტებ ულ გეგმასთან
დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის მშენებლობა (24 06 05 01)	47,000	25,000	-	0%	0%
ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა (24 06 06)	50,000	40,000	20,000	40%	50%
500 კვ ეგზ „წყალტუბო-ახალციხე-თორთუმი“ (EU-NIF, KfW) (24 14 01 01)	40,000	29,996	15,271	38%	51%
ჩრდილოეთის რგოლი (EBRD), ნამახვანი - წყალტუბო - ლაჯანური (EBRD, EU-NIF, KfW) (24 14 01 02)	15,000	11,975	4,715	31%	39%
გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (EU-NIF,KfW) (24 14 01 04)	20,000	16,830	7,252	36%	43%
ხელედულა-ლაჯანური-ონი (KfW) (24 14 01 06)	15,000	11,750	4,010	27%	34%
ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტრო-სადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU) (24 19)	5,000	1,120	-	0%	0%
ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია (25 02 02 08)	50,000	24,200	8,225	16%	34%
ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (Kuwait Fund) (25 02 02 10)	61,000	40,665	19,958	33%	49%
თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ლოჭინი-საგარეჯოს მონაკვეთის მშენებლობა (25 02 03 12)	170,000	120,100	66,852	39%	56%
მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ხანდო-ფასანაურის შემოსავლელი და არშა-სტეფანწმინდა-გველეთის მონაკვეთების მშენებლობა (25 02 03 14)	65,000	28,895	188	0%	1%
ურბანული ტრანსპორტის განვითარების პროგრამა (EBRD) (25 03 08)	500	300	-	0%	0%
იმერეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში კომუნალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (KfW) (25 04 02)	75,000	43,043	1,136	2%	3%
ქუთაისის წყალარინების პროექტი (EIB, EPTATF) (25 04 04)	42,000	9,328	1,039	2%	11%

ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD, SIDA) (25 05 02)	10,000	4,020	2,372	24%	59%
შენობებში მწვანე ინვესტიციების პროექტი (EBRD) (25 07 01 04 01)	1,000	860	-	0%	0%
საქართველოს მთიან რეგიონებში საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება (E5P, NEFCO) (25 07 01 05)	7,000	1,737	406	6%	23%
სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (27 04 01)	40,000	18,053	8,716	22%	48%
კლიმატგონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროექტი (ADB) (31 06 05 01)	500	376	-	0%	0%
საქართველო-ზემო სამგორის ირიგაციის პროექტი (EIB) (31 06 05 02)	500	374	-	0%	0%
საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (ADB) (56 13 04 01 02)	17,500	6,050	67	0%	1%
მდგრადი ურბანული მობილობა (KfW) (56 13 03)	11,000	1,180	683	6%	58%
თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი (EBRD) (56 13 09)	6,000	6,000	-	0%	0%

ცალკეული კაპიტალური პროექტები ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებიან 9 თვის დამტკიცებულ/დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით.

- *რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროექტების „ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია“ (25 02 02 08) (9 თვის დამტკიცებული გეგმა 33.0 მლნ ლარი; 8 თვეში ათვისებულია 24.9%), „ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (Kuwait Fund)“ (25 02 02 10) (9 თვის დამტკიცებული გეგმა 41.0 მლნ ლარი; 8 თვეში ათვისებულია 48.7%) და „თბილისი-ბაკურიცხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ლოჭინი-საგარეჯოს მონაკვეთის მშენებლობა“ (25 02 03 12) (9 თვის დამტკიცებული გეგმა 135.0 მლნ ლარი; 8 თვეში ათვისებულია 49.5%) დაბალი ათვისების მიზეზებად სახელდება კონტრაქტორის მის სამშენებლო სამუშაოების არასათანადო ტემპებით წარმოება საჭირო მანქანა-დანადგარებისა და პერსონალის არადროული მობილიზების შედეგად. მსგავსი მასშტაბის პროექტების განხორციელებისას, მიზანშეწონილია, დამატებითი ყურადღება დაეთმოს პრეტენდენტი კონტრაქტორის შეფასებას პროექტის განხორციელებისთვის საჭირო რესურსული უზრუნველყოფის თვალსაზრისით;*
- *ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროექტის „ჩრდილოეთის რგოლი (EBRD), ნამახვანი - წყალტუბო - ლაჯანური (EBRD, EU-NIF, KfW)“ (24 14 01 02) ცხრა თვის დაზუსტებული გეგმა 12.0 მლნ ლარია, საიდანაც რვა თვეში ათვისებულ იქნა 39.4%. სამინისტროს ინფორმაციით, დაბალი ათვისების მიზეზია დიზაინის ტექნიკურ დეტალებზე შეთანხმების პროცესის გახანგრძლივება, რის გამოც დაგვიანდა მასალების შეკვეთა-დამზადების და მოწოდების პროცესი. გარდა ამისა, ვერ მოესწრო მშენებლობის ნებართვის მიღება კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადაში*

და ვერ მოხერხდა კონტრაქტორის სამშენებლო ტერიტორიაზე დაშვება. აღნიშნული შეფერხებები მნიშვნელოვანწილად პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

სამინისტროს პროგრამის „ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)“ (24 19) ფარგლებში რვა თვის მდგომარეობით ხარჯის გაწევა არ მომხდარა. სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულის მიზეზია სესხის ეფექტურად გამოცხადების დაგვიანება, რომლითაც იგეგმებოდა პროექტის დაფინანსება (სესხი ეფექტურად გამოცხადდა 25.06.2024-ში).